ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 36

24 სექტემბერი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

16:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე. სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

თამარ ჩახვაშვილი

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი ყუყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, აბაის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ელგუჯა რუხაიას სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გასასვლელისთვის და მასთან არსებული უსახელო ხეივნისთვის ამაღლების ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირების შესახებ;
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სამსონ დადიანის სახელის მინიჭების შესახებ;
5. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ნეგოს ტყის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ნეგოს ტყის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავთო ვარაზის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეცნიერისა და მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ;
8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენასთვის ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელის მინიჭების შესახებ;
9. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ბარალეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ლიბანის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;
11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კესანების სახელის მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება ნაძალადევის რაიონში, აბაის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ელგუჯა რუხაიას სახელის მინიჭებას.

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ახლაგაყვანილი ქუჩა მდებარეობს ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან. შენდება მრავალბინიანი სახლები და არის ისნის რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძი. კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაციია მისცეს.

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე საკითხი, რომელიც შეეხება ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენასთვის ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელის მინიჭებას. ოთარ ქორქია იყო კალათბურთელი, თბილისის „დინამოს" მწვრთნელი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი. ნოდარ ჯორჯიკია იყო კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი. საკითხის გადაწყვეტას მხარს უჭერს კულტურის სამინისტრო, კალათბურთის ფედერაცია. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული სახელდება.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეცხრე და მეათე საკითხები შეეხება გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ბარალეთის I ჩიხის სახელის მინიჭებას და ასევე ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ლიბანის I გასასვლელის სახელის მინიჭებას საჯარო რეესტრის მოთხოვნის საფუძველზე სწორდება გეგმარებითი ხარვეზი. ბარალეთის ქუჩა მოიცავს ერთმანეთთან კავშირის არმქონე მონაკვეთებს, რაც ართულებს ნუმერაციას.

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო მეთერთმეტე საკითხი. იგი შეეხება ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კესანების სახელის მინიჭებას. სახელის შერჩევისას იყო განსხვავებული მოსაზრებები. მოსახლეობის სურვილით მოხდა კესანების სახელის შერჩევა. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნულ საკითხს.

ლევან აბაშიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე